ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების განახლების რეკომენდაციები

2022 წელი

ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების განახლების რეკომენდაციები

EFA
განათლების კოალიცია

UNDP

მომზადებულია განათლების კოალიციის მიერ გაეროს განვითარების პროგრამისა და შვედეთის მხარდაჭერით. გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და შეიძ-ლება არ ასახავდეს გაეროს განვითარების პროგრამის და შვედეთის თვალსაზრისს.

საქმიანობა განხორციელდა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენ-ტრთან პარტნიორობით გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და შვედეთის მიერ დაფინანსებული „ზოგადი განათლების სისტემის გაძლიერების“ პროექტის ფარგლებში.

სარჩევი

1. შესავალი და პროცესის აღწერა ... 3

2. კონცეპტუალური ნაწილი - დასაბუთება ... 4

2.1 ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების განახლების საჭიროება ... 4

2.2 ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების კონცეპტუალური განახლების საჭიროებები ... 4

3. ძირითადი მიგნებები/სადისკუსიო საკითხები ... 6

3.1 ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დოკუმენტის მიზნები ... 6

3.2 შედეგების მიღწევისა და გამოყენების კონტექსტი ... 6

3.3 დოკუმენტის ფოკუსი ... 7

4. რეკომენდაციები ... 8

4.1 პრინციპების განსაზღვრა ... 8

4.2 კონტექსტების გამოკვეთა ... 8

4.3 საზოგადოებრივი როლის გამოკვეთა ... 8

4.4 დოკუმენტის ცნობადობის ამაღლება ... 9

4.5 დოკუმენტის გამოყენების გზების გაუმჯობესება ... 9

დანართები ... 10

დანართი 1. ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები (განახლებული რედაქცია) ... 10

დანართი 2. ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები (სადისკუსიო გზამკვლევი) ... 12

დანართი 3. ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დოკუმენტზე მომუშავე ექსპერტების სია ... 25

მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს ათეულთა კლუბის სამუშაო შეხვედრა ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან (ზგემი) დაკავშირებით ... 26

გასვლითი სამუშაო შეხვედრა ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებისა და ზოგადი განათლების სისტემის სახელმწიფო ინდიკატორების შესახებ ... 27

1 შესავალი და პროცესის აღწერა

წარმოდგენილი დოკუმენტი აღწერს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების (ზგემი) განახლების რეკომენდაციებს და მისი რევიზიის კონცეპტუალურ დასაბუთებას. დანართების ნაწილში მოცემულია ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების ახალი რედაქციის ნიმუში და სადისკუსიო გზამკვლევი.

რეკომენდაციები შემუშავდა განათლების კოალიციის კოორდინაციით 2022 წელს. საქმიანობა განხორციელდა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან პარტნიორობით UNDP-ის მიერ დაფინანსებული „ზოგადი განათლების სისტემის გაძლიერების“ პროექტის ფარგლებში.

ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების განახლების პროცესი რამდენიმე ეტაპად დაიყო. პირველ ეტაპზე, ექსპერტების სამუშაო ჯგუფმა (იხ. დანართი 3) მოამზადა სადისკუსიო გზამკვლევი, რომლის მიზანიც იყო გაფართოებული ექსპერტული პანელის წევრებისთვის (იხ. დანართი 3) შეეთავაზებინა გარკვეული თეორიული/მეთოდოლოგიური ჩარჩო ზგემის ირგვლივ რეკომენდაციების შემუშავების მიზნით (იხ. დანართი 2). აღნიშნული გზამკვლევი მიმოიხილავს მსგავსი მიზნების დოკუმენტების შემუშავების საერთაშორისო პრაქტიკას და იმ პრობლემებს, რომელიც საქართველოში ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მოქმედი დოკუმენტის გამოყენებას ეხება. მიმოხილვისა და არსებული გამოწვევების პირველადი ანალიზის საფუძველზე საექსპერტო სამუშაო ჯგუფმა გამოყო ის ასპექტები, რომლის მიხედვითაც მნიშვნელოვანია ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების არსებული რედაქციის გააზრება და ანალიზი:

- **აქტუალურობა** - რამდენად პასუხობს თანამედროვეობას არსებული ვერსია და რა ნაწილს სჭირდება განახლება?
- **ცნობადობა** - რამდენად არის საზოგადოებისთვის ცნობილი ამ მიზნების შესახებ?
- **გამოყენება** - რამდენად იყენებს განათლების სისტემა პოლიტიკის დაგეგმვის თუ განხორციელებისას ზგემს.

შემდეგ ეტაპზე მოწვეულ იქნა განათლების ექსპერტების ჯგუფი, რომელმაც სამუშაო შეხვედრების ფარგლებში იმსჯელა არსებული რედაქციის გაუმჯობესების საკითხებზე და შეჯერდა წარმოდგენილ რეკომენდაციებზე.

პროცესის შემაჯამებელ ეტაპზე რეკომენდაციებისა და ზგემის ახალი რედაქციის ნიმუშის განხილვა განხორციელდა უფრო ფართო ჯგუფთან, კერძოდ, ჩატარდა ორი შეხვედრა. პირველ განხილვაში მონაწილეობა მიიღო მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს ათეულთა კლუბის 35-მა მასწავლებელმა, ხოლო მეორე სამუშაო შეხვედრაში ჩაერთო საზოგადოებისა და განათლების სფეროს 50-მდე წარმომადგენელი (მონაწილეების სია იხ. დანართი 4)

2 კონცეპტუალური ნაწილი - დასაბუთება

დოკუმენტის ამ ნაწილში ვისაუბრებთ იმ არგუმენტებზე, რომელიც მნიშვნელოვანია ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დოკუმენტის განახლების საჭიროებისა და მიმართულების გასააზრებლად. თავდაპირველად მიმოვიხილავთ დოკუმენტის ცვლილების საჭიროებას. შემდეგ ვისაუბრებთ თავად დოკუმენტის განახლების შესაძლო მიმართულებების შესახებ.

2.1 ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების განახლების საჭიროება

ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები საქართველოში წარმოადგენს დოკუმენტს, რომელიც ერთგვარი საფუძველია განათლების სისტემის პოლიტიკისთვის და აღწერს ერთი მხრივ, თუ რა შედეგის მიღწევა სურს საზოგადოებას განათლების სისტემის მეშვეობით, ხოლო მეორე მხრივ, განსაზღვრავს იმ პირობებს, რომელშიც შეიძლება ამ შედეგის მიღწევა. ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მოქმედი რედაქცია მიღებულია საქართველოს მთავრობის მიერ 2004 წლის 18 ოქტომბერს. მის მიღებას წინ უძღოდა საზოგადოებრივი ჯგუფების, უპირატესად, სასკოლო საზოგადოების ფართო ჩართულობით დოკუმენტის სამუშაო რედაქციების შემუშავება, განხილვა და დახვეწა. რადგან დოკუმენტის მიღების შემდეგ უკვე მეორე ათწლეული გადის, დროის ამ მონაკვეთში მომხდარი ცვლილებები მნიშვნელოვნად განაპირობებს ზოგადი განათლების სისტემის მიზნების განახლების ინტერესსა და მიმართულებას.

მოცემულ მონაკვეთში მრავალჯერ შეიცვალა განათლების სისტემის შემადგენელი ელემენტები. შეიცვალა სკოლების დაფინანსებისა და მართვის სისტემა (მაგალითად, გაუქმდა ლიცენზირების, ატესტაციისა და ახლა უკვე, აკრედიტაციის სისტემები). ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების შექმნის შემდეგ მიღებულ იქნა და მრავალჯერ შეიცვალა ნორმატიული დოკუმენტებიც. მათ შორის, ყველაზე მნიშვნელოვანი - კანონი ზოგადი განათლების შესახებ, ასევე განსაზღვრავს იმას, თუ რა უნდა იყოს ზოგადი განათლების მიზნები. შემუშავდა ეროვნული სასწავლო გეგმა, მასწავლებლების პროფესიული სტანდარტები და პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა, სკოლების ავტორიზაციის სტანდარტები, სახელმძღვანელოების გრიფირების ახალი სისტემა და კრიტერიუმები და სხვ. მოქმედ დოკუმენტში მოცემული ზოგიერთი მექანიზმი მოძველებულია და არსებულ ცვლილებებს არ შეესაბამება.

საგანმანათლებლო სისტემაში მიმდინარე ცვლილებების პარალელურად ცვლილებები მოხდა საინფორმაციო, ტექნოლოგიურ და პოლიტიკურ სისტემებშიც. დღეს კაცობრიობას და საქართველოს მოქალაქეებს ბევრად მეტ საინფორმაციო რესურსზე მიუწვდებათ ხელი და ამ ცვლილების შესაბამის სიკეთეებთან ერთად, ამ პროცესის თანამდევ საფრთხეებთანაც უწევთ ურთიერთობა. დღეს ბევრად მეტი პოლიტიკური მნიშვნელობის ყალბი ინფორმაცია ვრცელდება, ვიდრე ეს თვრამეტი წლის წინ ხდებოდა. განვლილ პერიოდში ასევე სოციალური თუ პოლიტიკური ვექტორების კრიტიკული ანალიზიც მოხდა, რაც ისეთი საკითხების გადაფასებისკენ უბიძგებს საზოგადოებას, როგორიცაა სოლიდარობის, გლობალურ საფრთხეებთან გამკლავების საკითხები, გარემოს დაცვის მნიშვნელობა და სხვა. საზოგადოებრივი ცხოვრების ამ და სხვა ასპექტების ცვლილებების ასახვა განათლების მიზნების დოკუმენტში მნიშვნელოვანი საკითხია.

2.2 ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების კონცეპტუალური განახლების საჭიროებები

საექსპერტო პანელის მიერ, მსჯელობისას გამოიკვეთა რამდენიმე საკვანძო კრიტერიუმი, რომლის მიხედვითაც სასურველია ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების შეფასება და შემდგომ განახლება. ასეთი საკითხებია:

ა) დოკუმენტის მიზანი

შესაძლოა, მნიშვნელოვანი იყოს იმის განხილვა, თუ რა როლს შეასრულებს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დოკუმენტი განათლების სისტემაში მიღებული სტრუქტურული თუ პროგრამული გადაწყვეტილებების შემუშავებასა და დანერგვაში.

ბ) შედეგების მიღწევისა და გამოყენების კონტექსტი

მნიშვნელოვანია დაფიქრება, თუ როგორ შეძლებენ ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევას საქართველოს მოქალაქეები. საქართველოს ზოგადი განათლების სისტემის კურსდამთავრებულთათვის გასააზრებელია იმ ღირებულებების თუ შესაძლებლობების გამოყენების კონტექსტი, რომლებიც მათ ზოგადი განათლების საფუძველზე ჩამოუყალიბდებათ.

გ) დოკუმენტის ფოკუსი

საჭიროა დაფიქრება, რამდენად არის არსებული დოკუმენტის ფორმატი მისაღები იმის გათვალისწინებით, რომ დოკუმენტი მორგებულია განათლების სისტემის შესაძლო შედეგის ინდივიდუალისტურ აღწერაზე. მოქმედი დოკუმენტის ძირითადი ფოკუსია პიროვნების ის მახასიათებლები, რომელიც მას ზოგადი განათლების სისტემაში მიღებული გამოცდილების საფუძველზე უნდა განუვითარდეს და ნაკლებ ყურადღებას აქცევს საზოგადოებრივი მიზნების მიღწევის საჭიროებას.

შემდეგ თავში შეგიძლიათ გაეცნოთ თითოეულ ამ პუნქტთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან სადისკუსიო საკითხებს. სწორედ ეს ფაქტორებია გათვალისწინებული რეკომენდაციებისა და განახლებისთვის შემოთავაზებული ახალი რედაქციის შემუშავებისას.

3 ძირითადი მიგნებები/სადისკუსიო საკითხები

როგორც წინა თავში აღვნიშნეთ, მსჯელობის ორგანიზება მოხდა სამი ძირითადი მიმართულებით: ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დოკუმენტის დანიშნულება, მასში ასახული შედეგების გამოყენების კონტექსტი და ფოკუსი.

3.1 ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დოკუმენტის დანიშნულება

ზგემის მოქმედ რედაქციაზე მსჯელობისას განხილეს მისი შექმნის ისტორია. კერძოდ, ის თუ 2004 წელს როგორ შემუშავდა როგორც ერთგვარი წარმმართველი დოკუმენტი, რომელსაც შემდგომში უნდა განესაზღვრა ზოგადი განათლების სისტემის რეფორმირების სხვადასხვა ნაბიჯი. მაგალითად, 2005 წელს ზგემის დოკუმენტის საფუძველზე ჩამოყალიბდა კანონი ზოგადი განათლების შესახებ. ამავე პერიოდში შეიქმნა პირველი ეროვნული სასწავლო გეგმა და განათლების პოლიტიკის სხვა ინსტრუმენტები (სახელმძღვანელოები, მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი და სხვ.). დღეს განათლების სისტემის ძირეული სტრუქტურული გარდაქმნების ინტერესი არ დგას. შესაბამისად, ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დოკუმენტის დანიშნულება უფრო მეტად ორიენტირებული უნდა იყოს განვითარების, სისტემის ევოლუციის ვექტორის განსაზღვრაზე და განათლების პოლიტიკის ინსტრუმენტებისთვის კონცეპტუალური ჩარჩოს მინიჭებაზე თუ მათ ლეგიტიმაციაზე.

რადგან ჩაითვალა, რომ დოკუმენტს გავლენა უნდა ჰქონდეს სისტემის განვითარებასა და ფუნქციონირებაზე, დისკუსიისას მოხდა შეთანხმება, რომ ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები არა მხოლოდ სისტემის შედეგებს უნდა აღწერდეს, არამედ იმ პრინციპებსაც, რომლებსაც უნდა ეფუძნებოდეს პოლიტიკის შემუშავებისა თუ განხორციელების პროცესი, რამაც რეალურად უნდა უზრუნველყოს დასახული შედეგები.

ასევე გამოიკვეთა, რომ ზგემის დოკუმენტი რეალურად უნდა იყოს ერთგვარი კომუნიკაციის ინსტრუმენტი საზოგადოების წევრებსა და ინსტიტუციებს შორის. აქედან გამომდინარე, დოკუმენტი გასაგები და გამოყენებადი უნდა იყოს არა მარტო დარგის სპეციალისტებისთვის და მართვაში ჩართული პირებისათვის, არამედ ფართო საზოგადოებისთვის, სასკოლო ცხოვრებაში პირდაპირ თუ ირიბად ჩართული ინდივიდებისა და ჯგუფებისთვის.

ზგემის დოკუმენტი, თავისი არსიდან გამომდინარე, უნდა აღწერდეს იმ კომპეტენციებს, რომელსაც საქართველოს მოქალაქეები, ზოგადი განათლების სისტემის კურსდამთავრებულები უნდა ფლობდნენ. თუმცა, იმავდროულად, გასათვალისწინებელია, რომ დემოკრატიის პირობებში სახელმწიფოს მიერ შემუშავებული დოკუმენტი არ უნდა განსაზღვრავდეს მოქალაქეების იდეალურ ხატს, არ უნდა უთითებდეს, თუ რას უნდა ფიქრობდეს, გრძნობდეს, ან რისი სურვილი უნდა ჰქონდეს თითოეულ მათგანს. ასეთი ფორმულირება ტოტალიტარული საზოგადოებისა და სახელმწიფოსთვის არის დამახასიათებელი. რეალურად ამ გამოწვევის გათვალისწინებით, მსგავსი დოკუმენტი უნდა აღწერდეს დემოკრატიულ პროცესზე, საჯარო მსჯელობაზე დაფუძნებულ გარკვეულ საზოგადო შეთანხმებას.

მნიშვნელოვანია, მიზნები განზოგადებულად იყოს ფორმულირებული და იძლეოდეს, განსხვავებული ინდივიდებისა და ჯგუფების საჭიროებების, თავისებურებებისა და მისწრაფებების გათვალისწინების შესაძლებლობას.

3.2 შედეგების მიღწევისა და გამოყენების კონტექსტი

მართალია, სკოლა ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევის მთავარი და ყველაზე მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია. რეკომენდაციებისა და განახლებული რედაქციის შემუშავებისას ჯგუფი შეთანხმდა, რომ დოკუმენტი არ უნდა ზღუდავდეს მიზნების მიღწევის

ალტერნატიულ გზებს, როგორიც არის, მაგალითად, შინ სწავლება. დოკუმენტი ასევე უნდა ითვალისწინებდეს ზოგადი განათლების მიზნების მიღწევაში სხვა ინსტიტუციების ჩართულობას, როგორიც არის, მაგალითად, თეატრი, მუზეუმი და სხვ.

ასევე, მნიშვნელოვანია იმის გააზრება, რომ საქართველოს მოქალაქეებს უწევთ გლობალიზებულ სამყაროში ცხოვრება–დაჩქარებულია ცხოვრების რიტმი, კომუნიკაცია, ინდივიდებსა და ჯგუფებს შორის ღირებულებების, ინფორმაციის გაზიარება და სხვადასხვა პროდუქტის გაცვლა. სულ უფრო მეტი საჭიროება და საშუალება ჩნდება საკუთარი შესაძლებლობების განვითარებისთვის. ამიტომაც, მნიშვნელოვანია, საქართველოს ზოგადი განათლების სისტემამ ხელი შეუწყოს დოკუმენტზე მუშაობის პროცესს, რომ ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დოკუმენტი შესაბამისი და მორგებული იყოს მსოფლიოში მიმდინარე ცვილებებთან.

კონტექსტზე საუბრისას მნიშვნელოვანია იმის გააზრებაც, რომ ადამიანებს არა მხოლოდ სოციალურ, არამედ ბუნებრივ გარემოსთან ურთიერთობა სჭირდებათ, რომელიც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს გლობალური და ლოკალური ეკოლოგიური ცვლილებების, ეკონომიკური განვითარების ფონზე.

იმავდროულად, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ტექნოლოგიური განვითარების კონტექსტს. ხელოვნური ინტელექტის, საინფორმაციო ქსელების, საქმიანობების ავტომატიზაციის სწრაფი განვითარების პირობებში გამორჩეულად მნიშვნელოვანი ხდება ადამიანების მომზადება ასეთ გარემოსთან ურთიერთობისთვის.

3.3 დოკუმენტის ფოკუსი

მსჯელობისას გამოიკვეთა, რომ არსებული რედაქცია ფოკუსირებულია ინდივიდის აღზრდაზე. მოქმედი დოკუმენტის თანახმად, სკოლა უფრო მეტად ემსახურება კონკრეტული ინდივიდის ინტერესს და ნაკლებად საზოგადოებრივს, სოციალურს. მიზნების ჩამონათვალში აქცენტი პიროვნულ კომპეტენციებზე კეთდება და მკაფიოდ იკვეთება ინდივიდის პრიორიტეტულობა. საზოგადოებრივი ინტერესი მხოლოდ ირიბად არის გამოხატული. იგულისხმება, რომ საზოგადოება ამგვარი ინდივიდების კრებულია. ხოლო ასეთი მოქალაქეები შეძლებენ საზოგადოებაში წარმატებულ ფუნქციონირებას.

მსჯელობისას შეთანხმდნენ, რომ ეს დოკუმენტი გადახედვას საჭიროებს. სკოლა საზოგადოებრივი ინსტიტუტია და სოციალური ურთიერთობებისთვის არა მხოლოდ ამზადებს ახალგაზრდებს, არამედ თავისთავად არის ამ ურთიერთობისთვის გამორჩეული ადგილი მათი ცხოვრების მნიშვნელოვანი პერიოდის მანძილზე. საზოგადოების ჩართულობას შეუძლია გავლენა იქონიოს დოკუმენტის გამოყენების არეალსა და აქცენტებზეც. თუ დოკუმენტის ცნობადობა და გამოყენება გაიზრდება, შესაძლოა ამან გარკვეული პოზიტიური გავლენა იქონიოს სისტემისა და მისი ელემენტების დანიშნულების გააზრებაზე. მაგალითად, მნიშვნელოვანია, რომ სკოლას საზოგადოება არა მხოლოდ ინდივიდუალური, არამედ საზოგადო მიზნების მიღწევის საშუალებად მიიჩნევდეს. ეს კი უფრო მეტად წაახალისებს სკოლებს, ინდივიდს სოციალიზაციის მეტად მრავალფეროვანი და დახვეწილი ფორმები შესთავაზონ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ განახლებული მიზნების ნიმუშზე მსჯელობისას გამოიკვეთა, რომ სრულიად შესაძლებელია საზოგადოებრივი ფოკუსის გაძლიერება ინდივიდუალური მიზნების შესუსტების გარეშე.

4 რეკომენდაციები

კვლევისა და მსჯელობის საფუძველზე საექსპერტო პანელმა შეიმუშავა რეკომენდაციები. მათი ნაწილი გათვალისწინებულია ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების განახლებული რედაქციის ნიმუშში (იხ. დანართი 1). ნაწილი კი განკუთვნილია გადაწყვეტილების მიმღებთათვის, რათა მათი გამოყენება სხვა ნორმატიულ დოკუმენტებში ან პოლიტიკის დაგეგმვისას მოხდეს.

4.1 პრინციპების განსაზღვრა

სასურველია, რომ ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დოკუმენტის მეორე ნაწილი, სადაც მიზნების მიღწევის ძირითად საშუალებებზეა საუბარი, ჩანაცვლდეს იმ პრინციპების ჩამონათვალით, რომელსაც უნდა ეყრდნობოდეს განათლების პოლიტიკა. ამ პრინციპებმა უნდა განსაზღვრონ ის ღირებულებები, რაც საფუძვლად უნდა დაედოს სისტემის სხვადასხვა ელემენტს, გადაწყვეტილების მიღებას და შეფასების მექანიზმებს. შეთავაზებულია შემდეგი პრინციპები:

- განვითარებადობა
- დემოკრატიულობა
- ინკლუზიურობა
- კეთილდღეობაზე ზრუნვა
- სოციალურობა
- ხელმისაწვდომობა

ამ პრინციპების განმარტებები იხილეთ ზგემის განახლებული ვერსიის ნიმუშში (დანართი 1). იმ შემთხვევაში, თუ წარმოდგენილი პრინციპები სისტემისთვის სახელმძღვანელო ღირებულებები გახდება, მათზე რეფერირება უნდა მოხდეს პოლიტიკის სხვადასხვა ინსტრუმენტის შემუშავებისას. მაგალითად, სისტემის ან ორგანიზაციების (სკოლების) შეფასების ინსტრუმენტებში, როგორიცაა სისტემის ინდიკატორები, ან სკოლების ავტორიზაციის სტანდარტები. სახელმწიფო და საზოგადოება კი ყურადღებას უნდა აქცევდეს, თუ რამდენად დაცულია აღნიშნული პრინციპები განათლების მიწოდების, შესაბამისი პოლიტიკის შემუშავების, დანერგვის თუ შეფასების პროცესში.

4.2 კონტექსტების გამოკვეთა

ზოგადი განათლების პროცესში ჩართულ პირებს და ფართო საზოგადოებას უნდა ჰქონდეთ მეტად გამოკვეთილი წარმოდგენა, თუ როგორი გარემოსთვის ამზადებენ საქართველოში ახალგაზრდებს. ამ მხრივ, სასურველია, ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებში უფრო მკაფიოდ იყოს განმარტებული კურსდამთავრებულების უნარებისა და ღირებულებების გამოყენების კონტექსტები. უპრიანია გამოიყოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ბუნებრივი და საინფორმაციო-ტექნოლოგიური გარემო. აღნიშნული მეტად გამოკვეთს ჩვენს თანამედროვეობაში კარგი მოქალაქეობის, ეკოლოგიური და ტექნოლოგიური გამოწვევების აქტუალობას და მასთან მიმართებაში ქართველი ახალგაზრდების მომზადების აუცილებლობას.

4.3 საზოგადოებრივი როლის გამოკვეთა

მოცემული მიზნები უნდა ეხმიანებოდეს როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო კონტექსტს. დოკუმენტი უნდა პასუხობდეს გლობალურ გამოწვევებსა და მდგრადი განვითარების პრინციპებს. მიზნები ფოკუსირებული უნდა იყოს არა მხოლოდ პიროვნების განვითარებაზე, არამედ საზოგადოებისა და გარემოს გაუმჯობესებაში მის როლზე და წვლილზე. ასევე,

ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების ახალ რედაქციაში სასურველია მეტი ყურადღება დაეთმოს სკოლის, როგორც საზოგადოებრივი სიკეთის საფუძვლის იდეას.

ერთი მხრივ, მნიშვნელოვანია, მიზნები ასახავდეს პიროვნების მიერ საკუთარი შესაძლებლობების მუდმივი განვითარების, პირად ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე ზრუნვის საჭირო კომპეტენციებს. მეორე მხრივ, სასურველია, მიზნების ფორმულირებაში მეტად გამოიკვეთოს პიროვნების როლი საზოგადოებრივ, პოლიტიკურ, კულტურულ, ეკონომიკურ თუ სხვა ურთიერთობებში. ასევე მნიშვნელოვანია, ეს ურთიერთობები სამართლიანობის, შემოქმედებითობის, ეთიკურობის, ტოლერანტულობისა და თანამშრომლობის ღირებულებებს ეფუძნებოდეს.

4.4 დოკუმენტის ცნობადობის ამაღლება

სასურველია, რომ ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების შესახებ ფართო კონსენსუსი არსებობდეს საზოგადოებაში. ამის მიღწევა სხვადასხვა მიდგომით შეიძლება. მაგალითად, შესაძლებელია, ზგემის დოკუმენტი ინტეგრირებული იყოს იმ მასალებში, რომლითაც სასკოლო საზოგადოება სარგებლობს. სახელმძღვანელოები, მასწავლებლებისთვის შემუშავებული საცნობარო თუ პროფესიული ლიტერატურა, ელექტრონული პორტალები, სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი ინსტიტუტების ვებგვერდები მეტად უნდა ავრცელებდნენ ინფორმაციას მიზნების შესახებ, ვიდრე ეს დღეს ხდება.

ზგემის დოკუმენტის ცნობადობის გასაზრდელად ერთ-ერთი წამყვანი საშუალებაა მუდმივი დისკუსიის წარმოება აღწერილი მიზნებისა და მათი მიღწევის პრინციპების, ინტერპრეტაციების შესახებ. ამგვარი დისკუსიების სტიმულირება შესაძლებელია სხვადასხვა კონფერენციების დღის წესრიგში საკითხის ინტეგრირებით, მედიის გამოყენებით, კონკურსებისა თუ შეჯიბრებების პირობებში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განხილვებში მოსწავლეების ჩართვა. მათ მიერ ამ მიზნების გათავისება განამტკიცებს სკოლების, სახელმწიფოს და საზოგადოებრივი ჯგუფების მხრიდან ზგემის მაქსიმალურად გათვალისწინებას და მის რეალურ გამოყენებას.

ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დოკუმენტის განახლება ცხადია, ასევე ინკლუზიურობის პრინციპების დაცვით უნდა განხორციელდეს. დოკუმენტის შემუშავების პროცესში მნიშვნელოვანია პროცესის გამჭვირვალობა და ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობა. დოკუმენტის შექმნის პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ზოგადი განათლების სფეროში დასაქმებული პირებისა და მოსწავლეების ჩართულობას. განახლების პროცესს უნდა ახლდეს მკაფიო საკომუნიკაციო სტრატეგია, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოებასთან ინტერაქციას: არსებული მოსაზრებების, წინადადებებისა და შეხედულებების შეგროვებას, დამუშავებას, ანალიზსა და უკუკავშირს.

4.5 დოკუმენტის გამოყენების გზების გაუმჯობესება

ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დოკუმენტი უნდა წარმოადგენდეს სისტემის ყველა სხვა მარეგულირებელი დოკუმენტის ბაზისს. მნიშვნელოვანია, რომ ზოგადი განათლების კანონი, ეროვნული სასწავლო გეგმა, სკოლების ავტორიზაციის, დირექტორების, მასწავლებლის თუ სხვა სტანდარტები რეფერირებას ახდენდეს ეროვნულ მიზნებზე, აზუსტებდეს და არ ფარავდეს მათ.

სასურველია, რომ ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები მუდმივად იყოს ერთგვარი საზომი, ორიენტირი განათლების პოლიტიკის დაგეგმვისას. პოლიტიკის, პროგრამებისა თუ გადაწყვეტილებების მიღებისას სასურველია ზგემთან მათი მიმართების დადგენა. აღნიშნული გადაწყვეტილებისა თუ პროგრამის ავკარგიანობის შეფასების ერთგვარ მინიმალურ საზომს უნდა წარმოადგენდეს.

დანართები

დანართი 1:
ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები (განახლებული რედაქცია)

ზოგადი განათლების სისტემა მიზნად ისახავს შექმნას ხელსაყრელი პირობები ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი, თავისუფალი და დამოუკიდებელი პიროვნების ჩამოყალიბებისათვის, რომელიც ღირსეულად და ჰარმონიულად იცხოვრებს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, ბუნებრივ და საინფორმაციო-ტექნოლოგიურ გარემოში, როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო კონტექსტში.

ზოგადი განათლების სისტემა ქმნის პირობებს იმისათვის, რომ პიროვნებამ შეძლოს:

- საკუთარი ინტერესების, საჭიროებებისა და შესაძლებლობების განსაზღვრა;
- ახალი ცოდნის მიღების სხვადასხვა წყაროს იდენტიფიცირება, დამოუკიდებლად სწავლა და ცხოვრების მანძილზე უწყვეტი განვითარება;
- საკუთარი და სხვების ფიზიკურ, ფსიქო-ემოციურ ჯანმრთელობაზე და კეთილდღეობაზე ზრუნვა;
- გამოცდილებისა და შესაძლებლობების გამოყენება გამოწვევებზე რეაგირების, ადაპტირებისა და ცვლილებისათვის.

საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გარემოსთან მიმართებით პიროვნებამ შეძლოს:

- საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ურთიერთობებში საკუთარი წვლილის შეტანა. მათ შორის, სხვებთან თანამშრომლობით და ორგანიზებული საზოგადოებრივი აქტიურობით;
- სოციალური, კულტურული, ეკონომიკური და პოლიტიკური გამოწვევების გააზრება ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების, საერთაშორისო კონტექსტის და ეროვნული ინტერესების ჭრილში;
- ადამიანის უფლებების დაცვა; ეთიკური და სამართლებრივი კულტურის სტანდარტების შესაბამისად ცხოვრება; თანაგანცდა, საკუთარი და სხვისი ღირსების, თვითმყოფადობის პატივისცემა;
- ეფექტიანი კომუნიკაცია სახელმწიფო და სხვა ენებზე; თანამშრომლობა განსხვავებულ ინდივიდებთან და ადამიანთა ჯგუფებთან პიროვნული და საზოგადოებრივი მიზნების მისაღწევად;
- მატერიალური, კულტურული, ინტელექტუალური და სულიერი ღირებულებების შექმნა და არსებული მემკვიდრეობის დაცვა.

ბუნებრივ გარემოსთან მიმართებით პიროვნებამ შეძლოს:

- ადამიანის მიერ გარემოზე და კლიმატის ცვლილებაზე მავნე ზემოქმედების საფრთხეების გააზრება;
- იზრუნოს ბუნებრივი გარემოსა და მრავალფეროვნების შენარჩუნება-დაცვაზე და რაციონალურად გამოიყენოს რესურსები; პირადი, საზოგადოებრივი და ეკონომიკური საქმიანობისას იხელმძღვანელოს ზიანის შემცირებაზე დაფუძნებული პრინციპით;

ინფორმაციულ და ტექნოლოგიურ გარემოსთან მიმართებით პიროვნებამ შეძლოს:

- ინფორმაციის მოპოვება, ანალიზი და შეფასება შინაარსის, დანიშნულების, სანდოობისა და ხარისხის მიხედვით; მისი ეთიკურად მოხმარების ფორმების განსაზღვრა და გამოყენება.
- ტექნოლოგიური მიღწევების ეფექტიანი გამოყენება ყოველდღიური ცხოვრების, შრომის, ინტელექტუალური, ეკონომიკური თუ საზოგადოებრივი საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევის პრინციპები

დასახული მიზნების მისაღწევად საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფს ზოგადი განათლების მიღების შესაძლებლობებს იმ პრინციპების დაცვით, რომლებიც ორიენტირებულია:

განვითარებაზე - განათლების სისტემა ეფუძნება პოლიტიკის სტაბილურობასა და ცვლილებას შორის ბალანსს. მტკიცებულებებზე დაყრდნობით ორიენტირებულია, წაახალისოს განათლების მიღების შესაძლებლობების გაუმჯობესება და განვითარება თანამედროვე მიღწევებთან, ტენდენციებთან და გარემოს ცვლილებასთან მიმართებაში.

დემოკრატიულობაზე - განათლების პოლიტიკის ფორმირება, მისი მართვა სისტემისა თუ ორგანიზაციულ დონეზე, ისევე როგორც თავად საგანმანათლებლო პროცესი, ეფუძნება საზოგადოების მაღალ თანამონაწილეობას. განათლების განმახორციელებელი დაწესებულებები მაქსიმალურად ღია და ანგარიშვალდებულები არიან საზოგადოების წინაშე. იმავდროულად, უზრუნველყოფილია მათი ინსტიტუციური ავტონომია, მხარდაჭერა და პარტიული პოლიტიკისგან ნეიტრალურობა.

ინკლუზიაზე - განათლების მიღების შესაძლებლობები ეფუძნება ზოგადი განათლების პროცესში ჩართული პირების ფიზიკური, ინტელექტუალური, სოციალური, კულტურული თუ სხვა საჭიროებებისა თუ მისწრაფებების გათვალისწინების პრინციპს.

კეთილდღეობაზე - სახელმწიფო უზრუნველყოფს განათლების სისტემის ისეთ ორგანიზებას და სწავლების ისეთ შესაძლებლობებს, რომელიც ორიენტირებულია საგანმანათლებლო პროცესში ჩართული ყველა პირის ემოციურ, ფიზიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ კეთილდღეობაზე.

სოციალური როლის გაძლიერებაზე - განათლების პოლიტიკა და საგანმანათლებლო ორგანიზაციები აღიარებენ განათლების პროცესის სოციალურ მნიშვნელობას და განუყოფლობას საზოგადოებრივი ცხოვრებისგან. შესაბამისად, ზრუნავენ სოციალურ საჭიროებებთან თანმხვედრი მიდგომებისა და საქმიანობის განვითარებაზე.

ხელმისაწვდომობაზე - ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობა უზრუნველყოფილია საზოგადოების ყველა ჯგუფისთვის. განათლების პოლიტიკა, მართვა და პროცესი საზოგადოების წევრებს სთავაზობს იმგვარ მხარდაჭერას, რაც საშუალებას უქმნის თითოეულ მათგანს, რომ სრულფასოვნად, თანასწორად, შეფერხებების გარეშე ჩაერთონ ზოგადი განათლების მიღების პროცესში.

დანართი 2:
ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები (სადისკუსიო გზამკვლევი)

შესავალი

დოკუმენტის მიზანია ხელი შეუწყოს ექსპერტული პანელის წევრებს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების და მასთან დაკავშირებული განათლების პოლიტიკის შესწავლასა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებაში. შესაბამისად, დოკუმენტი აღწერს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების შემუშავებისა და გამოყენების თავისებურებებს.

სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობით, დოკუმენტის პირველ ნაწილში წარმოდგენილია საკითხის ზოგიერთი მახასიათებელი. მეორე ნაწილში მიმოხილულია ამ მიმართულებით არსებული საერთაშორისო გამოცდილება. ბოლოს კი, განათლების პოლიტიკის დონეზე განხილულია საქართველოში განათლების მიზნების შემუშავების საკითხი.

შესავალში წარმოდგენილია პირველადი კითხვები მსჯელობისა და დისკუსიის ინიცირებისთვის. აღნიშნული დისკუსიის საფუძველზე, შემუშავდება დოკუმენტის მეორე თავი - ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების შეფასება, რასაც დაეფუძნება კონკრეტული რეკომენდაციები.

შეფასება მოხდება რამდენიმე კრიტერიუმით:

01 **აქტუალურობა** - შევისწავლით, თუ რამდენად არის აქტუალური ის მიზნები, რომლებიც ზგემ-შია მოცემული. კერძოდ, რამდენად არის, ერთი მხრივ, სტრუქტურულად ეს მიზნები თანხვედრაში საგანმანათლებლო სისტემის ძირითად პრინციპებთან (მაგალითად, განათლების როგორც ინდივიდუალური და საზოგადოებრივი ღირებულების პრინციპთან). მეორე მხრივ, რამდენად აქტუალურია ის შინაარსი, რომელიც ამ მიზნების დოკუმენტშია მოცემული.

02 **ცნობადობა** - პროფესიულ და ფართო საზოგადოებაში რამდენად ცნობილია ამ მიზნების შესახებ? რამდენად შეუძლიათ საზოგადოების წევრებს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მოხმობა, განათლების სფეროში მიმდინარე პროცესების დაგეგმვის ან შეფასებისთვის?

03 **გამოყენება** - რამდენად იყენებს განათლების სისტემა ზგემს პოლიტიკის ორიენტირად? რამდენად ეყრდნობა სისტემა ამ მიზნებს, სტრატეგიული თუ საოპერაციო გადაწყვეტილებებისას? რამდენად არის თანხვედრა განათლების პოლიტიკის ინსტრუმენტებსა და ზოგადი განათლების მიზნებს შორის.

სამეცნიერო კვლევები მიზნების შემუშავების შესახებ

განათლების სფეროში მიზნების საკითხის შესახებ, სამეცნიერო ლიტერატურა რამდენიმე მიმართულებით გვაწვდის საყურადღებო ცნობებს. ამ ნაწილში მიმოვიხილავთ მიზნების ფორმირებისა და განათლების პოლიტიკასთან დაკავშირებულ საკითხებს.

მიზნების განსაზღვრის პროცესი შესწავლილია საერთაშორისო მიზნების კონტექსტში. საერთაშორისო შეთანხმებები, როგორიცაა განათლება ყველასათვის ან მდგრადი განვითარების მიზნები, შედარებითი განათლების კვლევების ფოკუსია. მკვლევრები აკვირდებიან, თუ როგორ იღებენ ამ შეთანხმებების მონაწილეები გადაწყვეტილებებს, რა გავლენა აქვს ამ მიზნებს განათლების ეროვნულ და გლობალურ პოლიტიკაზე.

ამერიკელი მკვლევარი Fukuda-Parr (2013) გვთავაზობს დაკვირვებას, რომ მიზნების განსაზღვრისას მნიშვნელოვანია იმის გააზრება, თუ რა ფუნქციით განისაზღვრება ისინი. მისი დაკვირვებით, მიზნების შემუშავება სამი ძირითადი მოლოდინით ხდება:

01 პირველი უკავშირდება გარკვეული **გზავნილის გავრცელების** სურვილს. ამ პერსპექტივიდან, მიზნები განათლების პოლიტიკაში ჩართული მხარეების მობილიზაციისთვის და პრობლემების შესახებ ყურადღების მისაპყრობად იქმნება.

02 მეორე სარგებელი, რასაც მიზნების შემუშავებისას ეძებენ, **მონიტორინგის გარკვეული ჩარჩოს** შექმნაა. მიზნები გამოიყენება პრიორიტეტულ პრობლემებთან გამკლავების ძალისხმევის და მიღწეული პროგრესის შესაფასებლად.

03 მესამე **დაგეგმვის სამიზნეების** შემუშავებაა. ამ პერსპექტივიდან მიზნები გამოიყენება პოლიტიკის პრიორიტეტებისა და პროგრამების შემუშავების, ასევე რესურსების განაწილების დაგეგმვისთვის.

სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით, მიზნები სხვადასხვაგვარად არის ინტერპრეტირებული სხვადასხვა აქტორების მიერ და შესაბამისად, სხვადასხვა გამოყენებას პოულობს განსხვავებული პერსპექტივებიდან. ამიტომ, ფუჭია მოლოდინი, რომ მიზნების განსაზღვრა თავისთავად გამოიწვევს რაიმე საყოველთაო, ერთგვაროვან და ურყევ შეთანხმებას განათლების პროცესის სხვადასხვა მონაწილეებს შორის.

მიზნების განსაზღვრის გავლენის შესახებ, საინტერესო დაკვირვებას გვთავაზობს Merry (2011). მიზნებისა და მათი შესაბამისი ინდიკატორების შემუშავებისა და დანერგვის ერთ-ერთი გავლენაა ის, რომ ამ მიდგომას შეუძლია თვითრეგულირების პრინციპზე გადაიყვანოს მართვის ის პროცესები, რომლებიც მანამდე ბრძანებების შესრულების პრინციპზე იყო დაფუძნებული. მაშინ, როდესაც შემსრულებლები თავად ხდებიან მთავარი პასუხისმგებელი პირები და არა ისინი, ვინც მათ ამოწმებს. ეს პრინციპი სისტემაში ძალაუფლების დინამიკას მნიშვნელოვნად ცვლის. მიზნის შესრულების ინდიკატორები განაწყობს და ზოგ შემთხვევაში აიძულებს პროცესის მონაწილეებს, იმოქმედონ მისაღწევი მიზნების შესაბამისად.

ამ კონტექსტში პრობლემა, რომლის შესახებაც სოციოლოგები საუბრობენ, კომპლექსური პროცესების დათვლად ინდიკატორებად გააზრებას უკავშირდება. რაოდენობრივი მონაცემები შეიძლება, ერთი მხრივ, მიმართავდეს ყურადღებას განათლების პოლიტიკის მნიშვნელოვან საკითხებზე (მაგალითად, ჩართულობა, თანასწორობა და სხვ.), მაგრამ ამავდროულად, გადაჰქონდეს აქცენტი ისეთი მნიშვნელოვანი საკითხებისგან, რომელთა რაოდენობრივი მონაცემებით განსაზღვრა რთულია. ასეთია სოციალური ურთიერთობების, ღირებულებების, ეთიკისა და სასკოლო კულტურისა და კლიმატის საკითხები.

კიდევ ერთი ფენომენი, რომელიც განათლების სფეროში მიზნების გავრცელებას უკავშირდება, გლობალიზაციის პროცესთან არის გადაჯაჭვული. მსოფლიოს მასშტაბით მიმდინარეობს მიზნების კონვერგენცია, ერთმანეთთან დამსგავსება. საერთაშორისო მასშტაბით მოქმედი ორგანიზაციები, როგორებიც არიან დონორი ორგანიზაციები, ან ორგანიზაციები, რომლებიც აწარმოებენ სისტემების შეფასების ინსტრუმენტებს, აქტიურად არიან ჩართული ამ პროცესში. განსაკუთრებული გავლენა აქვთ მსოფლიო ბანკსა და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციას (OECD). განათლების სისტემების რეიტინგების დადგენით და ამავდროულად, საუკეთესო პრაქტიკების გავრცელებით, ეს ორგანიზაციები ხელს უწყობენ საერთაშორისო მასშტაბით მიზნების გავრცელებასა და სტანდარტიზაციას (Steiner-Khamsi, 2012).

ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი მექანიზმი ამ პროცესში მოსწავლეების ფართო მასშტაბის საერთაშორისო შეფასებებია. უკვე მეორე ათწლეულია, საქართველოც ჩართულია PISA, TIMSS, PIRLS შეფასებებში. ამ შეფასებების გავლენის შესახებ მრავალი კრიტიკული კვლევა არსებობს საერთაშორისო განათლების მიმართულებით. მეცნიერთა დაკვირვებით, ეს შეფასებები მიმზიდველია გადაწყვეტილების მიმღებებისთვის მრავალი სხვადასხვა მიზეზის გამო. ზოგჯერ ეს კვლევები ეხმარება მათ იმ გადაწყვეტილებების ლეგიტიმაციაში, რაც მათ ამ კვლევების გარეშეც ჰქონდათ ჩაფიქრებული. ზოგიერთის დაკვირვებით, ეს შეფასებები, რომლებიც შედეგებს საზოგადოებას რაოდენობრივად წარუდგენენ, საშუალებას იძლევა, რომ შედეგების ციფრულ გამოხატულებებს მიებას ის ნარატივი, რაც სარგებელს მოუტანს გადაწყვეტილების მიმღებს (Gorur, 2015). ამ შეფასებებს ებმება ექსპერტული, ხშირად საკმაოდ საეჭვო ხასიათის ნამუშევრები, რომლებიც ამტკიცებს, რომ, ამ შეფასებების ფარგლებში, მიაგნო იმ მიზეზებს, რაც განაპირობებს მოსწავლეების საუკეთესო შედეგებს.

აქვე უნდა გავითვალისწინოთ, რომ მიზნების საერთაშორისო დონეზე დაახლოება ასევე განპირობებულია მსოფლიოში გავრცელებული საერთო საგანმანათლებლო კულტურისა და ინსტიტუციონალიზებული პრაქტიკის მეშვეობითაც. სახელმწიფოებისთვის, გლობალურ

ტენდენციებზე დაყრდნობით, ბუნებრივი ხდება, რომ ზოგიერთი პრიორიტეტი საკუთარ საგანმანათლებლო სისტემაშიც გადმოიტანონ (Meyer et. al., 1997). შესწავლილია, რომ ამგვარად ხდება, მაგალითად, სასკოლო შინაარსების დამსგავსება გლობალურ დონეზე (მაგ. როგორ ხდება სამოქალაქო განათლება პრიორიტეტი გლობალურად და ა.შ.).

ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები: საერთაშორისო გამოცდილება

როგორც ზემოთ არის აღნიშნული, ზოგადად, განათლების სფეროში მიზნების მიმართ მოლოდინი შესაძლოა სხვადასხვაგვარი იყოს. საერთაშორისო გამოცდილების მიხედვით, კონკრეტულად, ზოგადი განათლების მიზნები, რიგ შემთხვევებში, უფრო სასკოლო განათლების ხედვას წარმოადგენს, სხვა შემთხვევებში კი - უფრო კომპეტენციებზეა დაფუძნებული და წარმოდგენილია ის ჩამონათვალი, რაც მოსწავლეს უნდა გააჩნდეს სკოლის დასრულების შემდგომ. რაც შეეხება დოკუმენტის შინაარსს, ძირითადად, წარმოდგენილია რამდენიმე მთავარი გზავნილი:

- **სახელმწიფოებრივი იდეა** - დოკუმენტი ხაზს უსვამს მოქალაქის აღზრდის მნიშვნელობას, კულტურულ იდენტობას და დაკავშირებულია ისეთ საკითხებთან, როგორიცაა ენა, ეროვნული ტრადიციების დაცვა, ზრუნვა ქვეყნის ერთიანობაზე, სოციალიზაცია, თავდაცვა და უსაფრთხოება.

- **ინდივიდუალიზმი** - კოლექტივისტურ მიდგომასთან ერთად, ამ ტიპის დოკუმენტები მეტწილად ხაზს უსვამენ ინდივიდის ჩამოყალიბების მნიშვნელობას, ისეთ საკითხებს, როგორიცაა თავისუფალი, კომპეტენტური და კრიტიკულად მოაზროვნე ადამიანების აღზრდა. საქართველოს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დოკუმენტიც სტრუქტურულად ინდივიდუალიზმის პრინციპზე დგას. აქ, ძირითად მიზნად პიროვნების აღზრდა და პიროვნების გარკვეული კომპეტენციებით აღჭურვა არის მოცემული. საზოგადოებრივი მიზნები ამ დოკუმენტშიც მეორეულია.

- **ღირებულებები და კომპეტენციები** - ერთი მხრივ, ხაზგასმულია აღზრდის მნიშვნელობა და ადამიანის ღირებულებითი მახასიათებლები, როგორიცაა ემპათიურობა, ტოლერანტობა, ზრუნვა სხვებზე, წვლილის შეტანა თემის განვითარებაში და სხვა.

  მეორე მხრივ, დოკუმენტი წარმოადგენს იმ პრიორიტეტულ კომპეტენციებს, რის განვითარებაშიც მოსწავლეს სასკოლო განათლება უნდა დაეხმაროს.

  შესაბამისად, განათლების სისტემა განიხილება როგორც ინსტრუმენტი და გარანტი აღნიშნულის ხელშეწყობისათვის (Kitchen, 2019; Mwaka, 2013; Ministry of Education Singapore).

- **ეკონომიკური მიზნები და სკოლის სოციალური ფუნქცია** - რიგ ქვეყნებში, სასკოლო განათლების მიზნებში, ხაზგასმულია სასკოლო განათლების დანიშნულება ეკონომიკური განვითარების კუთხით. პირველ რიგში, ეს არის კომპეტენტური ადამიანების ანუ ადამიანური კაპიტალის განვითარება, რაც წვლილს შეიტანს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში. ეს ნაწილი განსაკუთრებით აქტუალურია კომპეტენციებზე დაფუძნებული მიზნების დოკუმენტებში (OECD, 2022; Ministry of Education Singapore; Finnish National Agency for Education, 2021).

  გარდა ამისა, განათლების მიზნების ანალიზისას, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია სკოლის სოციალური ფუნქცია. აღნიშნული დაკავშირებულია ისეთ საკითხებთან, როგორიცაა სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებების აღსრულება თანასწორობისა და სოციალური ინტეგრაციის, სოციალური განვითარების ხელშეწყობის კუთხით (გაბუნია, 2020; Shaked, 2020; Feinberg and Soltis, 2009). ამავდროულად, სკოლა, როგორც სოციალური ინსტიტუცია, ხელს უწყობს მშობლებს თავიანთი საქმიანობის შესრულებაში.

გარდა აღნიშნულისა, განათლების სისტემები ხელმძღვანელობენ სტრატეგიული და საერთაშორისო მიზნებითა თუ შეფასებებით. მაგალითად, როგორიც არის ასოცირების შესახებ შეთანხმება საქართველოსთვის, მოსწავლეთა შეფასების საერთაშორისო პროგრამა (PISA), ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, ბავშვის უფლებათა კონვენცია, მდგრადი განვითარების მიზნები და ა.შ. ზოგიერთ შემთხვევაში, მიზნების დოკუმენტში სწორედ აღნიშნული სტრატეგიული მიზნების მიღწევა თუ შეფასებების გაუმჯობესებაა დასახული (UNESCO, 2019).

და ბოლოს, განათლების სისტემა, როგორც ღია ინსტიტუცია დაკავშირებულია ქვეყნის შიდა პოლიტიკურ კონტექსტთან, მმართველობის ფორმასა და იდეოლოგიასთან. აქედან გამომდინარე, განათლების სისტემები, მათ შორის სასკოლო განათლების მიზნები, იდეოლოგიური და პროპაგანდისტული მიზნებითაც განისაზღვრება (მაგ. ე.წ. პატრიოტიზმის გაკვეთილები რუსეთში (გვინდაძე, 2022; ლუკიანოვა, 2022)).

ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები

2004 წლის 18 ოქტომბრიდან ქვეყანაში ზოგადი განათლების განმსაზღვრელ დოკუმენტს მთავრობის N84 დადგენილებით დამტკიცებული ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები წარმოადგენს. დოკუმენტის მიზანია სახელმწიფოში განათლების ერთიანი პოლიტიკის უზრუნველყოფა. დადგენილება ავალდებულებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები შეიმუშაოს აღნიშნული დოკუმენტის შესაბამისად.

ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დოკუმენტი განსაზღვრავს განათლების სისტემის მიზნებს, ზოგადი განათლების მიმართულებებს და აყალიბებს უნარებისა და ჩვევების ჩამონათვალს, რომელიც მოსწავლემ სისტემაში მიღებული გამოცდილების შედეგად უნდა მიიღოს.

ცხრილი 1. ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები

მიზანი: საქართველოში ზოგადი განათლების სისტემა მიზნად ისახავს, შექმნას ხელსაყრელი პირობები ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი, თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებისათვის. ამასთან ერთად, განათლების სისტემა უვითარებს მოზარდს გონებრივ და ფიზიკურ უნარ-ჩვევებს, აძლევს საჭირო ცოდნას, ამკვიდრებს ჯანსაღი ცხოვრების წესს, მოსწავლეებს უყალიბებს ლიბერალურ და დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებულ სამოქალაქო ცნობიერებას და ეხმარება მათ ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე საკუთარი უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში.

გასავითარებელი შესაძლებლობები	**აღწერა**
ა) ქვეყნის ინტერესების ტრადიციებისა და ღირებულებების მიმართ საკუთარი პასუხისმგებლობის გააზრება:	სასკოლო განათლებამ უნდა განუვითაროს მოზარდს უნარი, რათა მან სწორად განსაზღვროს საკუთარი ქვეყნის სახელმწიფოებრივი, კულტურული, ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესები. შესაბამისად, მისცეს მას სასიკეთო გადაწყვეტილებათა მიღებისა და აქტიური მოქმედების შესაძლებლობა;
ბ) ბუნებრივი გარემო პირობების შენარჩუნება და დაცვა:	მოზარდმა უნდა იცოდეს, როგორ ბუნებრივ გარემოში ცხოვრობს, რა ზიანი შეიძლება მიაყენოს გარემოს ადამიანმა ამა თუ იმ მოქმედებით, როგორ შეინარჩუნოს და დაიცვას ბუნებრივი გარემო;
გ) ტექნოლოგიური თუ სხვა ინტელექტუალური მიღწევების ეფექტიანად გამოყენება; ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება და ანალიზი:	დღეს, როდესაც ადამიანისათვის მისაწვდომია დიდი მოცულობისა და სხვადასხვა შინაარსის ინფორმაცია, მისი ეფექტიანად გამოყენების უნარი სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენს. მოზარდს უნდა შეეძლოს არა მხოლოდ ინფორმაციის მოპოვება, არამედ მისი შეფასებაც შინაარსის, დანიშნულებისა და ხარისხის მიხედვით, დასახული მიზნებისათვის მისი გამოყენების ფორმების განსაზღვრა; ტექნოლოგიური მიღწევების ეფექტიანი გამოყენება ყოველდღიური ცხოვრების, მუშაობის, ინტელექტუალური თუ სულიერი მოღვაწეობის პირობების გასაუმჯობესებლად;
დ) დამოუკიდებლად ცხოვრება, გადაწყვეტილების მიღება:	სასკოლო განათლებამ უნდა განუვითაროს მოზარდს პირად, ოჯახურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში დამოუკიდებელ გადაწყვეტილებათა მიღების უნარ-ჩვევები;
ე) იყოს შემოქმედი, თავად შექმნას ღირებულებები და არ დაკმაყოფილდეს არსებულით:	სასკოლო განათლებამ უნდა უზრუნველყოს მოზარდის იმ უნარ-ჩვევების განვითარება, რომლებიც მისცემს მას საშუალებას, უკვე არსებული გამოცდილება და მიღწევები გამოიყენოს ახალი მატერიალური, ინტელექტუალური თუ სულიერი ღირებულებების შესაქმნელად;
ვ) საკუთარი შესაძლებლობებისა და ინტერესების უწყვეტი განვითარება მთელი ცხოვრების განმავლობაში და მათი მაქსიმალური რეალიზება როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის საზღვრებს გარეთაც;	სასკოლო განათლებამ უნდა ჩამოუყალიბოს მოზარდს უწყვეტი განვითარების, მთელი ცხოვრების განმავლობაში ახალი ცოდნისა და ჩვევების დამოუკიდებლად შეძენის უნარი, რათა შეძლოს საკუთარი შესაძლებლობებისა და სულიერი მიდრეკილებების ადეკვატურად განსაზღვრა და ამის მიხედვით საზოგადოებრივ ცხოვრებაში საკუთარი ადგილის დამკვიდრება; მოზარდი მზად უნდა იყოს მომავალი განათლებისა და შრომითი საქმიანობისათვის;
ზ) კომუნიკაცია ინდივიდებთან და ჯგუფებთან:	სასკოლო განათლებამ საზოგადოების მომავალ წევრებს უნდა განუვითაროს ზოგადი საკომუნიკაციო უნარ-ჩვევები (წერა, კითხვა, მეტყველება, მოსმენა), საორგანიზაციო და ჯგუფური მუშაობის ჩვევები, მათ შორის იმათ, ვისთვისაც საქართველოს სახელმწიფო ენა მშობლიური არ არის;
თ) იყოს კანონმორჩილი, ტოლერანტი მოქალაქე:	დღევანდელ დინამიკურ, ეთნიკურად და კულტურულად მრავალფეროვან გარემოში საზოგადოების ფუნქციონირებისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ურთიერთპატივისცემის, ურთიერთგაგებისა და ურთიერთშემეცნების ჩვევები. სკოლამ უნდა გამოუმუშაოს მოზარდს ადამიანის უფლებების დაცვისა და პიროვნების პატივისცემის უნარი, რომელსაც იგი გამოიყენებს საკუთარი და სხვისი თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად. მოზარდს უნდა შეეძლოს ადამიანის უფლებების შესახებ მიღებული თეორიული ცოდნის განხორციელება და ამ პრინციპებით ცხოვრება.

მიზნებსა და მოზარდებისთვის გასავითარებელ უნარ-ჩვევებთან ერთად, დოკუმენტი ასევე ხაზს უსვამს მათი მიღწევის ძირითად საშუალებებსაც, ესენია:

1. ზოგადი განათლების პოლიტიკა და კანონმდებლობა;
2. ზოგადსაგანმანათლებლო სასკოლო სისტემა;
3. ზოგადსაგანმანათლებლო სასკოლო სისტემის რეგულირებისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
4. ეროვნული სასწავლო გეგმა.

მთლიანობაში, შეიძლება ითქვას, რომ ეროვნული მიზნები ზოგადი განათლების სისტემის იერარქიაში უმთავრეს დოკუმენტს წარმოადგენს (იხ. სქემა 1). მიუხედავად აღნიშნული დოკუმენტის მნიშვნელობისა, მიზნების მიღწევის კომპლექსური შეფასება ქვეყანაში არ ხორციელდება და საერთაშორისო თუ ადგილობრივი კვლევების შედეგების ანალიზით, მსჯელობა შესაძლებელია მხოლოდ მისი კონკრეტული კომპონენტების მიღწევის საფუძველზე.

სქემა 1. ზოგადი განათლების სისტემის იერარქია ეროვნულ მიზნებთან მიმართებაში



ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები და სისტემის სხვა ორიენტირები

როგორც წინა თავში აღინიშნა, ყველა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტი სისტემაში უნდა შემუშავდეს ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებზე დაყრდნობით და იზიარებდეს მის პრინციპებს. მიუხედავად ამისა, ზოგადი განათლების სისტემის განმსაზღვრელ რიგ მნიშვნელოვან დოკუმენტებში ასეთი კავშირები ბუნდოვანია და მკაფიოდ არ იკითხება. სხვადასხვა დოკუმენტში სხვადასხვანაირად გვხვდება მიზნების განმსაზღვრელი ისეთი ტერმინები, როგორიცაა: მიზნები, პოლიტიკის მიზნები, სექტორული პრიორიტეტები, ამოცანები, ძირითადი პრინციპები და სხვა. ასევე კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებში ხდება ზოგადი განათლების მიზნების გადაფარვა და დუბლირება (იხ. ცხრილი 2). მიუხედავად იმისა, რომ სისტემის მარეგულირებელ ზოგიერთ დოკუმენტში ნაწილობრივ ასახულია ეროვნული მიზნების პათოსი, თავად ეროვნული მიზნები კი საერთოდ არ არის ნახსენები (მაგ. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი ეროვნული სტრატეგია 2022-2030).

ცხრილი 2. ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები და კანონი ზოგადი განათლების შესახებ

კანონი ზოგადი განათლების შესახებ	**მუხლი 2.** ტერმინთა განმარტება, პუნქტი ნ) ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დოკუმენტი – დოკუმენტი, რომელიც ამ კანონის შესაბამისად განსაზღვრავს ქვეყანაში არსებული ზოგადი განათლების სისტემის მიზნებს. ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დოკუმენტი არის ეროვნული სასწავლო გეგმისა და ზოგადი განათლების სისტემის ძირითადი მაჩვენებლების შემუშავების საფუძველი. ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დოკუმენტს იღებს საქართველოს მთავრობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის (შემდგომ – მინისტრი) წარდგინებით და დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს პარლამენტს; **მუხლი 3. ზოგადი განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიზნები** 1. საქართველოში ზოგადი განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიზნებია: ა) მოსწავლის ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მქონე, თავისუფალ პიროვნებად ჩამოყალიბებისათვის საჭირო პირობების შექმნა; ბ) მოსწავლის გონებრივი და ფიზიკური უნარ-ჩვევების განვითარება, აუცილებელი ცოდნით უზრუნველყოფა, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, ლიბერალურ-დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბება, მოსწავლის მიერ კულტურულ ფასეულობათა პატივისცემა, ოჯახის, საზოგადოების, სახელმწიფოსა და გარემოს წინაშე უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში ხელის შეწყობა. 2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად სახელმწიფო უზრუნველყოფს: ა) ზოგადი განათლების ღიაობას და თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველასთვის მთელი სიცოცხლის განმავლობაში; ბ) საქართველოს ზოგადი განათლების სისტემის ჩართვას საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში; გ) საჯარო სკოლის დამოუკიდებლობას რელიგიური და პოლიტიკური გაერთიანებებისაგან, ხოლო კერძო სკოლის დამოუკიდებლობას პოლიტიკური გაერთიანებებისაგან; დ) ეროვნული შეფასების, ეროვნული სასწავლო გეგმის შემუშავებისა და დანერგვის სისტემების ჩამოყალიბებას, რაც გულისხმობს სწავლების ხარისხის დადგენისა და შეფასების მეშვეობით ზოგადსაგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვასა და მართვას; ე) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის პროცესის წარმართვას და ზოგადი განათლების ხარისხის უწყვეტი განვითარების ხელშეწყობას; ვ) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ადმინისტრაციულ და ფინანსურ ავტონომიას; ზ) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ძალადობის აღმოფხვრას; თ) ინკლუზიური განათლების დანერგვას; ი) მასწავლებელთა პროფესიის რეგულირებას.	**საქართველოს პარლამენტი. 08/04/2005**

** წითლად მონიშნულია დოკუმენტის კავშირი ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან.*

ცხრილში მოყვანილ მაგალითში ჩანს, რომ ზოგადი განათლების კანონი განსაზღვრავს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების ფუნქციას და რეგულირების სფეროს. თუმცა, კანონი აქვე გვთავაზობს განათლების პოლიტიკის მიზნების კიდევ ერთ ჩამონათვალს (მუხლი 3). კანონში მოცემული მიზნები ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან შედარებით უფრო ვიწროა და არ მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან კომპეტენციებს, როგორიც არის მაგალითად, ადამიანის ჯგუფებთან, ინფორმაციასთან ან ბუნებრივ გარემოსთან ურთიერთობა. როგორც სახელმწიფოს პრიორიტეტი კანონში გამოტოვებულია დამოუკიდებლობის, შემოქმედებითობის კომპეტენციების განვითარება, სამაგიეროდ, კანონში შეტანილია ოჯახის ფარგლებში უფლება-მოვალეობის ცნება.

ზოგადი განათლების შესახებ კანონის ტერმინების განმარტებაში ვკითხულობთ, რომ ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები ეროვნული სასწავლო გეგმის შემუშავების საფუძველი უნდა იყოს. როგორც ცხრილ 3-ში ჩანს, ეროვნულ სასწავლო გეგმაშიც აღიარებულია ეს პრინციპი. აქვე ეროვნული სასწავლო გეგმა გვთავაზობს ზგემის გარკვეულ ინტერპრეტაციას. კერძოდ, ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებიდან გამომდინარეობს ის, რომ ეროვნული სასწავლო გეგმა უნდა ეფუძნებოდეს პიროვნების განვითარებაზე ორიენტირებულ და ამავდროულად, კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო პარადიგმას. აქვე შეგვიძლია დავაკვირდეთ, თუ როგორ ითარგმნება ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები იმ საგანმანათლებლო პრინციპებად, რომელიც ეროვნული სასწავლო გეგმის როგორც გამჭოლი, ისე საგნობრივი პრიორიტეტების საფუძველია.

ცხრილი 3. ეროვნული სასწავლო გეგმა და ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები.

ეროვნული სასწავლო გეგმა	**მუხლი 1.** შესავალი; 1. ეროვნული სასწავლო გეგმა ეფუძნება „ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 18 ოქტომბრის №84 დადგენილებით დამტკიცებულ ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს (შემდგომში - ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები), რომელიც განსაზღვრავს, თუ როგორი თაობების აღზრდას უნდა შეუწყოს ხელი საქართველოს ზოგადი განათლების სისტემამ. 2. ეროვნული სასწავლო გეგმა ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევის ერთ-ერთი ძირითადი საშუალებაა. მუხლი 9. ეროვნული სასწავლო გეგმის ძირითადი საგანმანათლებლო პრინციპები 16. ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებიდან გამომდინარე, ეროვნული სასწავლო გეგმა ეფუძნება პიროვნების განვითარებაზე ორიენტირებულ კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო კონცეფციას და განსაზღვრავს ხუთ ძირითად საგანმანათლებლო პრინციპს, რომლებსაც უნდა დაეყრდნოს სწავლა-სწავლების პროცესი. ეს პრინციპებია: ა) სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლეთა შინაგანი ძალების გააქტიურებას. მიღებული ინფორმაცია ცოდნად გარდაიქმნება მოსწავლის მიერ მისი აქტიური დამუშავების შედეგად. მოსწავლე მიწოდებული ინფორმაციიდან გამოარჩევს ცოდნის შენებისთვის (კონსტრუირებისთვის) მნიშვნელოვან ელემენტებს და ცოდნად გარდაქმნის შერჩეულ ინფორმაციას სხვადასხვა სააზროვნო ოპერაციის განხორციელების საფუძველზე. ბ) სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. ინფორმაციის დამუშავება და ცოდნად გარდაქმნა წინარე ცოდნის საშუალებით ხორციელდება. წინარე ცოდნა განაპირობებს იმას, თუ მიწოდებული ინფორმაციიდან რა კომპონენტებს მიაქცევს ყურადღებას მოსწავლე და რის სწავლას შეძლებს იგი. გ) სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას და ორგანიზებას. მეხსიერებაში ცოდნათა ურთიერთდაკავშირება და ორგანიზება ზრდის გააზრების, დამახსოვრებისა და ცოდნის ფუნქციური გამოყენების შესაძლებლობებს. დ) სწავლა-სწავლება უნდა უზრუნველყოფდეს სწავლის სტრატეგიების დაუფლებას (სწავლის სწავლა). სწავლის პროცესში მართებული ხერხებისა და მიდგომების გამოყენება წარმატებული სწავლის განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენს. კონკრეტული მიზნის მისაღწევად განსახორციელებელ ქმედებათა გააზრებულად, გაცნობიერებულად დაგეგმვა და კოორდინირება ზრდის მოსწავლის ქმედობაუნარიანობას, ეხმარება მას მიზნის ეფექტიანად მიღწევასა და სიძნელეთა გადალახვაში. აქედან გამომდინარე, მასწავლებელი ვალდებულია დააფიქროს მოსწავლე იმ ხერხებსა თუ მიდგომებზე, რომლებსაც იგი გამოიყენებს მიზნის მისაღწევად და დაეხმაროს მათ შორის, საუკეთესოს აღმოჩენაში. ე) სწავლა-სწავლება უნდა მოიცავდეს ცოდნის სამივე კატეგორიას: დეკლარატიულს, პროცედურულსა და პირობისეულს. ე.ა) დეკლარატიული ცოდნა სტატიკური ხასიათისაა. იგი გულისხმობს თეორიების, ფაქტების, წესების ცოდნას და პასუხობს კითხვას: რა ვიცი? ე.ბ) პროცედურული ცოდნა დინამიკურია და იძლევა ცოდნის რეალიზების საშუალებას. პროცედურული ცოდნა პასუხობს კითხვას: როგორ გავაკეთო/როგორ შევასრულო? ე.გ) პირობისეული ცოდნა დინამიკურია და გულისხმობს პირობების, ანუ არსებითი ნიშან-თვისებების ამოცნობას. იგი უზრუნველყოფს სხვადასხვა კონტექსტში ცოდნის ადეკვატურად გამოყენებას და პასუხობს კითხვას: როდის და/ან რატომ გამოვიყენო ეს ცოდნა? **მუხლი 22.** დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება ხელს უნდა უწყობდეს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებისა და, შესაბამისად, ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას. **თავი II. სწავლა-სწავლების მიზნები და საგანმანათლებლო პრინციპები** მუხლი 4. დაწყებითი საფეხურის მისია დაწყებითი საფეხურის მისიაა: ა) საგანთა თანამიმდევრული სწავლა-სწავლების გზით მოსწავლის გონებრივი, ფიზიკური, ემოციური და სოციალური განვითარების ხელშეწყობა; ბ) საბაზისო უნარების - წიგნიერებისა და რაოდენობრივი წიგნიერების განვითარების ხელშეწყობა; გ) სასკოლო გარემოსა და სწავლის მიმართ დადებითი დამოკიდებულების ჩამოყალიბება, ცნობისმოყვარეობის ცოდნისმოყვარეობაში გადაზრდა და მოსწავლის მომზადება საბაზო საფეხურისთვის. მუხლი 5. საბაზო საფეხურის მისია საბაზო საფეხურის მისიაა საგანთა სწავლა-სწავლების საფუძველზე მყარი, დინამიკური და ფუნქციური ცოდნის კონსტრუირება, მოსწავლის ინტერესებისა და მიდრეკილებების გამოვლენა, მოსწავლის დამოუკიდებელი სწავლის უნარისა და შრომისუნარიანობის განვითარება, აქტიური მოქალაქის ფორმირების ხელშეწყობა და საფუძველების შექმნა განათლების მომდევნო საფეხურზე სწავლის გაგრძელებისთვის ან შრომითი საქმიანობისთვის.	**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება. 18/05/2016**

მუხლი 6. საშუალო საფეხურის მისია
საშუალო საფეხურის მისიაა:
ა) საგანთა გაღრმავებული სწავლების გზით სისტემური ცოდნის კონსტრუირება;
ბ) მოაზროვნე, მაძიებელი, ახლის შემოქმედი, წიგნიერი, ინფორმირებული და პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე მოქალაქის ჩამოყალიბება, რომელსაც შეუძლია გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღება, საკუთარი მიღწევების გამოყენება ახალი მატერიალური, ინტელექტუალური თუ სულიერი ღირებულებების შესაქმნელად.
მუხლი 7. ზოგადი განათლების სწავლა-სწავლების მიზნები
ზოგადი განათლების სწავლა-სწავლების მიზნებია მოსწავლეს განუვითაროს/ ჩამოუყალიბოს:
ა) კულტურული მემკვიდრეობის დაფასების და მასზე ზრუნვის უნარი;
ბ) თანამედროვე რეალობის სივრცულ-დროით ჭრილში გააზრებისა და ინტერპრეტირების უნარი;
გ) ენობრივი და კულტურული მრავალფეროვნების გააზრებისა და დაფასების უნარი; საკუთარი და განსხვავებული კულტურის წარმომადგენლებთან/ ჯგუფებთან წარმატებული კომუნიკაციის უნარი;
დ) ჯანსაღი ცხოვრების უნარ-ჩვევები;
ე) ენის, როგორც შემეცნების, აზროვნების, თვითგამოხატვისა და კომუნიკაციის საშუალების გამოყენების უნარი;
ვ) ინფორმაციის სხვადასხვა სიმბოლური ნიშნებით გამოხატვის უნარი;
ზ) კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების, პრობლემების გადაჭრისა და კვლევის უნარები;
თ) ლოგიკური აზროვნებისა და არგუმენტირებული მსჯელობის უნარი;
ი) სამყაროს ესთეტიკური აღქმის უნარი;
კ) საკუთარი შესაძლებლობებისა და ინტერესების საფუძველზე არჩევანის გაკეთების უნარი; დამოუკიდებელ გადაწყვეტილებათა მიღებისა და იდეების ქმედებაში განხორციელების უნარი;
ლ) პროფესიული არჩევანის გაკეთებისა და კარიერის დაგეგმვის უნარი;
მ) გარემოსდაცვითი პრობლემების გადაჭრის უნარი რისკების გაცნობიერებით;
ნ) ახალ სიტუაციებთან, ცვლად მოთხოვნებთან ადაპტირების უნარი; საზოგადოებაში თვითდამკვიდრების უნარი;
ო) საკუთარ სოციალურ აქტივობაზე პასუხისმგებლობის გააზრების, ასევე, სხვათა ქმედების გაგებისა და გათვალისწინების უნარი; ეთიკური ნორმების დაცვის უნარი;
პ) კონფლიქტების არაძალადობრივი მეთოდებით მართვის უნარი;
ჟ) სწავლის სტრატეგიების ადეკვატურად შერჩევისა და მათი ეფექტიანად გამოყენების უნარი;
რ) თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით ინფორმაციის მოძიების, დამუშავების, შენახვის, გაზიარებისა და გაანალიზების უნარი.

ეროვნული სასწავლო გეგმის დოკუმენტის ცხრილ 3-ში მოყვანილ მაგალითში ასევე ჩანს, რომ ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები ითარგმნება სასწავლო მიზნებში. ეროვნული სასწავლო გეგმა ადგენს ჯერ საფეხურის მიზნებს (დაწყებითი, საბაზო, საშუალო), ხოლო ამ მიზნების საფუძველზე დგება უკვე საგნობრივი ჯგუფებისა და საგნის სწავლების მიზნები. მუხლი 7 რეალურად აზუსტებს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების იდეალებს და ამატებს იქ აღწერილ მიზნებს ისეთ კომპეტენციებს, როგორებიცაა, მაგალითად, სწავლის სტრატეგიების შერჩევა და გამოყენება, ჯანსაღი ცხოვრების უნარ-ჩვევები ან თანამედროვეობის სივრცულ-დროით ჭრილში გააზრების უნარი.

ცხრილი 4. სტრატეგიული დოკუმენტები და ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი ეროვნული სტრატეგია 2022-2030	4.4.1 სექტორული პრიორიტეტი I. ხარისხი და შესაბამისობა მიზანი 1.2: ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში თითოეული მოსწავლისათვის ხელმისაწვდომი, მაღალ მისაღწევ შედეგებზე და მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებაზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის უზრუნველყოფა ამოცანა 1.2.1: მასწავლებლებისა და დირექტორების კვალიფიკაციის ამაღლება და საჭიროებებზე დაფუძნებული უწყვეტი პროფესიული განვითარების უზრუნველყოფა ამოცანა 1.2.2: ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებში სწავლა-სწავლებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა და თანამედროვე მრავალფეროვანი რესურსებით უზრუნველყოფა ამოცანა 1.2.3: მშობლების/წარმომადგენლების ჩართულობის გაზრდა სასკოლო ცხოვრებასა და სწავლა-სწავლების პროცესში 4.4.2 სექტორული პრიორიტეტი II. თანასწორობა, ინკლუზია და მრავალფეროვნება მიზანი 2.2: ზოგადი განათლების ყველა საფეხურზე თითოეული მოსწავლისთვის სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობების შექმნა ამოცანა 2.2.1: სპეციალური მასწავლებლებისა და დამხმარე პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება და ინკლუზიური სწავლების კომპეტენციების განვითარება ამოცანა 2.2.2: ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნა და ხარისხიანი სასწავლო რესურსების ხელმისაწვდომობა თითოეული მოსწავლისთვის 4.4.3 სექტორული პრიორიტეტი III. მართვა, დაფინანსება და ანგარიშვალდებულება მიზანი 3.2: ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მართვის ეფექტიანობისა და მდგრადობის გაუმჯობესება ამოცანა 3.2.1: ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მონიტორინგისა და შეფასების სისტემის განვითარება	**საქართველოს მთავრობის დადგენილება 31/08/2022**
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017-2021	**5.2 ზოგადი განათლება** **5.2.1 არსებული ვითარების მიმოხილვა და ძირითადი გამოწვევები** საქართველოს ზოგადი განათლების სისტემის სამართლებრივ და ინსტიტუციურ ჩარჩოს საფუძვლად უდევს შემდეგი საკანონმდებლო აქტები, საერთაშორისო კონვენციები და ხელშეკრულებები: საქართველოს კონსტიტუცია, ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონი; საქართველოს მთავრობის დადგენილება „ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების“ დამტკიცების შესახებ, კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ; „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონი; საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია;... **5.2.2. მიზნები და ამოცანები.** საქართველოს ზოგადი განათლების სისტემა მიზნად ისახავს ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მქონე თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებას, რომელსაც აქვს რეალური ცხოვრებისთვის აუცილებელი ცოდნა და უნარები, მზად არის აკადემიური, საზოგადოებრივი და შრომითი აქტივობებისთვის, შეუძლია მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლა და არის მაღალი პასუხისმგებლობის მქონე აქტიური და კონკურენტუნარიანი მოქალაქე. **ზოგადი განათლების სისტემის სპეციფიკური მიზანია** - მოსწავლეების მომავალი ცხოვრებისთვის მომზადების მიზნით მაღალი ხარისხის ზოგად განათლებაზე ხელმისაწვდომობისა და ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი საგანმანათლებლო შედეგების უზრუნველყოფა. **ზოგადი განათლების სისტემის მიზნის მისაღწევად განისაზღვრა შემდეგი სტრატეგიული ამოცანები:** **სტრატეგიული ამოცანა 1.** მაღალი ხარისხის ზოგადი განათლების თანაბარი საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. **სტრატეგიული ამოცანა 2.** განათლების ხარისხის გაუმჯობესება სწავლის შემდგომ საფეხურზე გადასვლის შესაძლებლობების გაზრდის, მოსწავლეებში სასიცოცხლო უნარ-ჩვევების განვითარებისა და უკეთესი აკადემიური შედეგების მიღწევისათვის. **სტრატეგიული ამოცანა 3.** საგანმანათლებლო გარემოს გაუმჯობესება **სტრატეგიული ამოცანა 4.** სკოლის ადმინისტრაციისა და მასწავლებლების მოტივაციის და ეფექტურობის გაზრდა **სტრატეგიული ამოცანა 5.** ზოგადი განათლების ყველა დონეზე ეფექტური მართვის სისტემის განვითარება	**საქართველოს მთავრობის დადგენილება 07/12/2017**

შედარებით სუსტია კავშირი განათლების მართვის სფეროში შემუშავებულ სტრატეგიულ დოკუმენტებსა და ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს შორის. ცხრილი 4 გვაძლევს შესაძლებლობას დავაკვირდეთ, რომ ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები ამ ტიპის დოკუმენტებში უფრო მეტად გადაწყვეტილებების ლეგიტიმაციისთვის არის ნახსენები. განათლების სფეროს გამოწვევების აღწერისას, ან პოლიტიკის ინსტრუმენტების შემუშავებისას ზოგადი განათლების მიზნებში მოცემულ იდეალებზე რეფერირება პრაქტიკულად არ ხდება.

რაც შეეხება ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების კავშირებს საერთაშორისო შეთანხმებებთან და ვალდებულებებთან, მათი დადგენა ამ შემთხვევაშიც რთულია. ძირითადად, აღებული ვალდებულებები გაცილებით ნაკლებად ამბიციური ხასიათისაა, ვიდრე ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დოკუმენტში მოცემული ორიენტირები. მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნულ დოკუმენტში საქართველოზე მისადაგებული გლობალური ამოცანები, ეროვნული ინდიკატორი და საბაზისო მაჩვენებლები, რიგ შემთხვევებში, ემთხვევა ერთმანეთს, რაც აპრიორი მიანიშნებს იმაზე, რომ დოკუმენტის შემუშავების დროისთვის დასახული ამოცანების ნაწილი ფაქტობრივად უკვე შესრულებულად შეიძლება ჩაითვალოს. მაგალითად, საქართველოსთვის მისადაგებული ამოცანაა (4.6.): 2030 წლისთვის უზრუნველყოფილი იქნება ყველა ახალგაზრდის და მოზარდის სულ მცირე 99-100%-ის (როგორც ქალების, ისე მამაკაცების) მიერ, წიგნიერებისა და რაოდენობრივი წიგნიერების ფუნქციური უნარების ფლობა. იგივე ამოცანის საბაზისო მაჩვენებელში (4.6.) ვკითხულობთ: 2014 წლის საქართველოს მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგების შესაბამისად, 10 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობაში წიგნიერების დონე შეადგენს 99,6%-ს.

გამოყენებული ლიტერატურა:

გაბუნია, მ. (2020) სკოლის სოციალური მისია და განგრძობითი სკოლის პროგრამა. კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის სკოლა ლაბის პროგრამა. shorturl.at/lnVW0

გვინდაძე, ს. „პატრიოტიზმის გაკვეთილები" – რას უყვებიან რუსეთში მოსწავლეებს პუტინის ომზე? რადიო თავისუფლება. 04.03.2022

https://www.radiotavisupleba.ge/a/31736436.html?fbclid=IwAR34x-C3dCks2ePFmCNVnNbPXVqH_ZaOUHxMhWNiLMNoM2IqqzhIqa-BC-k

ЛУКИАНОВА, Н. Диссидент из 6-го «А» На уроке истории московский школьник высказал свою позицию по поводу «спецоперации». После этого к нему домой пришла полиция и отключила электричество. Novaya Gazeta. 09.03.2022. https://novayagazeta.ru/articles/2022/03/07/dissident-iz-6-go-a

Cedefop (2016). Application of learning outcomes approaches across Europe: a comparative study. Luxembourg: Publications Office. Cedefop reference series; No 105. http://dx.doi.org/10.2801/735711

Curriculum For General Upper Secondary Schools in A Nutshell. Finnish National Agency for Education. 2021. https://www.oph.fi/sites/default/files/documents/curriculum-for-general-upper-secondary-schools-in-a-nutshell-2020_0.pdf

Fukuda-Parr, S. (2013). Global development goal setting as a policy tool for global governance: Intended and unintended consequences (No. 108). Working Paper.

Gorur, R. (2015). Producing calculable worlds: Education at a glance. Discourse: Studies in the Cultural Politics of Education, 36(4), 578–595.

Jacobsen, R. and Rothstein, R. (2006). The Goals of Education. Economic Policy Institute. https://www.epi.org/publication/webfeatures_viewpoints_education_goals/

Kitchen, H., et al. (2019), OECD Reviews of Evaluation and Assessment in Education: Student Assessment in Turkey, OECD Reviews of Evaluation and Assessment in Education, OECD Publishing, Paris, https://doi.org/10.1787/5edc0abe-en.

Merry, S. E. (2011). Measuring the world: Indicators, human rights, and global governance. Current anthropology, 52(S3), S83-S95.

Meyer, J. W., Boli, J., Thomas, G. M., & Ramirez, F. O. (1997). World society and the nation-state. American Journal of sociology, 103(1), 144-181.

Ministry of Education Singapore. Desired Outcomes of Education. https://www.moe.gov.sg/education-in-sg/desired-outcomes

Mwaka, M., Kafwa N. V., Musamas, K. J., Wambua, K. B. The National Goals of Education in Kenya: Interrogating the Achievements of National Unity. School of Education, Moi University. Journal of Education and Practice. ISSN 222-1735.

National Goals for Schooling. The Adelaide Declaration on National Goals for Schooling in the Twenty-first Century

OECD (2022), Trends Shaping Education 2022, OECD Publishing, Paris, https://doi.org/10.1787/6ae8771a-en.

OECD (2021), Education at a Glance 2021: OECD Indicators, OECD Publishing, Paris, https://doi.org/10.1787/b35a14e5-e

OECD (2015), Education Policy Outlook: Sweden, available at: www.oecd.org/education/policyoutlook.htm

Shaked, Haim (2020). Social justice leadership, instructional leadership, and the goals of schooling. International Journal of Educational Management, 34(1), 81–95. doi:10.1108/ijem-01-2019-0018

Sivesind, K., & Karseth, B. (2022). Introduction: A Comparative Network Analysis of Knowledge Use in Nordic Education Policies. In Evidence and Expertise in Nordic Education Policy (pp. 1-31). Palgrave Macmillan, Cham.

Steiner-Khamsi, G. (2012). Understanding policy borrowing and lending: Building comparative policy studies. In World Yearbook of Education 2012 (pp. 3-17). Routledge.

UNESCO. 2019. Beyond commitments – How countries implement SDG 4. Paris, UNESCO.

World Bank. 2018. World Development Report 2018: Learning to Realize Education's

Promise. Washington, DC: World Bank. doi:10.1596/978-1-4648-1096-1. License: Creative Commons Attribution CC BY 3.0 IGO

Educational Goals, Prepared for the International Bureau Education. 1980. Studies and Surveys in Comparative Education. UNESCO.

დანართი 3:
ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დოკუმენტზე მომუშავე ექსპერტების სია

სამუშაო ჯგუფის წევრები:	
ირინა ხანთაძე	განათლების კოალიციის გამგეობის თავმჯდომარე
გიორგი ჭანტურია	განათლების კოალიციის დირექტორი
მერი ქადაგიძე	განათლების კვლევების კოორდინატორი
რევაზ აფხაზავა	პოლიტიკის ადვოკატირების ოფიცერი
თამარ ბრეგვაძე	განათლების მკვლევარი
სიმონ ჯანაშია	განათლების მკვლევარი

ექსპერტთა პანელის წევრები		
1	**კახა ერაძე**	განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
2	**ლაშა ზივზივაძე**	განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
3	**მარიამ ჩიქობავა**	განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
4	**სოფო ლობჟანიძე**	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
5	**ნათია ანდღულაძე**	განათლების მკვლევარი
6	**მანანა რატიანი**	USAID საბაზისო პროგრამა/დამოუკიდებელი ექსპერტი
7	**პაატა პაპავა**	USAID საბაზისო პროგრამა/დამოუკიდებელი ექსპერტი
8	**შალვა ტაბატაძე**	საზოგადოებრივი ორგანიზაცია სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი
9	**მეგი კავთუაშვილი**	საზოგადოებრივი ორგანიზაცია მშობლები განათლებისათვის
10	**მარიანა ხუნძაყიშვილი**	გაეროს ბავშვთა ფონდი, UNICEF
11	**თორნიკე შევარდნაძე**	განათლების მკვლევარი
12	**გიორგი მელიქაძე**	განათლების მკვლევარი
13	**გიორგი არზიანი**	განათლების მკვლევარი
14	**ბაკურ ხიჯაკაძე**	მასწავლებელი

მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს ათეულთა კლუბის სამუშაო შეხვედრა ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან (ზგემი) დაკავშირებით

17 დეკემბერი, 2022

სასტუმრო Holiday Inn

N	სახელი/გვარი	რეგიონი	სკოლა
1	ნათია ფურცელაძე	იმერეთი	ბაღდათის №2 საჯარო სკოლა
2	ვლალადიმერ აფხაზავა	გურია	ლანჩხუთის მუნიპალიტეტის სოფელ ჩიბათის საჯარო სკოლა
3	მაია ტყემალაძე	იმერეთი	სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ საჩხერის №2 საჯარო სკოლა
4	მარინა ისკაკოვა	იმერეთი	სსიპ ქალაქ ქუთაისის №33 საჯარო სკოლა
5	აბრამიშვილი ელისო	იმერეთი, საჩხერე	საჩხერის №2 საჯარო სკოლა
6	დაბრუნდაშვილი ნადია	შიდა ქართლი, ხაშური	ხაშურის №1 საჯარო სკოლა
7	კაპეტივაძე მანანა	იმერეთი, ბაღდათი	ქ. ბაღდათი, №2 საჯარო სკოლა
8	სუყაშვილი თემურ	ქვემო ქართლი	ქალაქ მარნეულის №2 საჯარო სკოლა
9	ჩოფიკაშვილი ნაზი	მცხეთა-მთიანეთი, ყაზბეგი	სტეფანწმინდის წმინდა ილია მართლის სახელობის გიმნაზია-პანსიონი
10	ჭიჭინაძე ნინო	რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	მესტიის მუნიციპალიტეტი, სოფელ იელის საჯარო სკოლა
11	გიორგი ჭაუჭიძე	ქვემო ქართლი	სსიპ ქალაქ მარნეულის №22 საჯარო სკოლა
12	თამარ ადამია	ქვემო ქართლი, თბილისი	დმანისის მუნიციპალიტეტი სოფელ მაშავერას საჯარო სკოლა, თბილისი №26 საჯარო სკოლა
13	ხათუნა გოგალაძე	თბილისი	ბრიტანულ-ქართული აკადემია
14	ლაურა გოტიაშვილი	ქვემო ქართლი	ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო არქევანის საჯარო სკოლა
15	ქეთინო მერებაშვილი	თბილისი	პრომეთე
16	სოფო გოგოხია	სამეგრელო	აფხაზეთის №10 საჯარო სკოლა
17	ანა კინწურაშვილი	თბილისი	კერძო სკოლა "ქორალი"
18	ციცინო გობაძე	ქვემო ქართლი	სოფელ გუმბათის საჯარო სკოლა
19	თეონა შერაზადიშვილი	რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო-სვანეთი	სოფელ ღარის საჯარო სკოლა და სიმონ სხირტლაძის სახელობის ქალაქ ონის საჯარო სკოლა
20	სალომე გოჩოლეიშვილი	ქვემო-ქართლი	სოფ. ქვემო არქევანის საჯარო სკოლა
21	მაკა ხელაძე	თბილისი	წმ. გიორგის სახელობის საერთაშორისო სკოლა
22	ხათუნა რაზმაძე	თბილისი	წმ. გიორგის სახელობის საერთაშორისო სკოლა
23	სოფო ბაჩილავა	თბილისი	კერძო სკოლა ოპიზა
24	გიორგი ტერუნაშვილი	სამეგრელო-ზემო სვანეთი	მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ კალის საჯარო სკოლა
25	ქეთევან სეფიაშვილი	თბილისი	სსიპ ქ. თბილისის №10 საჯარო სკოლა
26	ზეინაბ კაკალაშვილი	კახეთი	თელავის N5 საჯარო სკოლა
27	ლამარა ბოლქვაძე	ქვემო ქართლი	სსიპ-მარნეულის მუნიც. სოფ. მარადისისა და კასუმლოს საჯარო სკოლები
28	გიტა თვალაბეიშვილი	თბილისი	სსიპ ქალაქ თბილისის N168 საჯარო სკოლა
29	კახა გალდავა	იმერეთი	სამტრედიის N1 საჯარო სკოლა
30	მიხეილ ლაბარტყავა	თბილისი	დამოუკიდებელი საერო გიმნაზიის „შავნაბადა"
31	ლალი მარგიანი	ქვემო ქართლი	მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ ხოჯორნის საჯარო სკოლა
32	ხათუნა ნოზაძე	თბილისი	თბილისის ბაქსვუდის საერთ. და დ. სარაჯიშვილის სახ. №16 საჯარო სკოლები
33	ნუგზარ სადიკოვი	თბილისი	თბილისის N55 საჯარო სკოლის
34	მიმოზა ღოლიჯაშვილი	შიდა ქართლი	გორის მუნიც. სოფ. ხიდისთავის საჯარო სკოლისა და მეცნიერებათა სკოლის
35	სოფიო ძიგრაშვილი	იმერეთი	ქუთაისის N33 საჯარო
36	ირა ძირკვაძე	ქვემო ქართლი	წალკის მუნიციპალიტეტის სოფელ გუმბათის საჯარო სკოლის

გასვლითი სამუშაო შეხვედრა ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებისა და ზოგადი განათლების სისტემის სახელმწიფო ინდიკატორების შესახებ

23-25 დეკემბერი

სასტუმრო ლოპოტა

N	სახელი/გვარი	ორგანიზაცია/სტატუსი
1	**რეზო აფხაზავა**	Task Force
2	**ირინა ხანთაძე**	Task Force
3	**მერი ქადაგიძე**	Task Force
4	**გიორგი ჭანტურია**	Task Force
5	**თამუნა გურგენიძე**	Efa ადმინისტრაცია
6	**თამუნა ბრეგვაძე**	ილიაუნი
7	**სოფო ლობჟანიძე**	ექსპერტთა პანელი / ილიაუნი
8	**მანანა რატიანი**	ექსპერტთა პანელი / RTI
9	**მეგი კავთუაშვილი**	ექსპერტთა პანელი / მშობლები განათლებისათვის
10	**მარიანა ხუნძაყიშვილი**	ექსპერტთა პანელი / UNICEF
11	**თორნიკე შევარდნაძე**	ექსპერტთა პანელი / დამოუკიდებელი ახალგაზრდა მკვლევარი
12	**გიორგი მელიქაძე**	ექსპერტთა პანელი / დამოუკიდებელი ახალგაზრდა მკვლევარი
13	**გიორგი არზიანი**	ექსპერტთა პანელი / დამოუკიდებელი ახალგაზრდა მკვლევარი
14	**ბაკურ ხიჯაკაძე**	ექსპერტთა პანელი / მასწავლებელი
15	**პაატა პაპავა**	ექსპერტთა პანელი /RTI
16	**ქეთი ქობულაშვილი**	EFA ადმინისტრაცია
17	**ანა მენაღარიშვილი**	CTC
18	**თამარ უზუნაშვილი**	CTC
19	**გიორგი პაპაშვილი**	სკოლის დეპოლიტიზება
20	**ნაზი რეხვიაშვილი**	საქართველოს რეფორმების ასოციაცია GRASS
21	**რატი ფრუიძე**	დამოუკიდებელი მკვლევარი
22	**გელა ლომიაშვილი**	Skills Agency
23	**ირინა ბრეგვაძე**	Skills Agency
24	**ბესო სულაბერიძე**	CTC
25	**ზაქრო ქიტიაშვილი**	TSU
26	**მარინე გოგნელაშვილი**	TSU
27	**ალუდა გოგლიჩიძე**	კავკასიის უნივერსიტეტი
28	**ვარდენ ნიქაბაძე**	ილიაუნი/ფარცხანაყანევის სკოლა
29	**შორენა ტაბატაძე**	მასწავლებელი
30	**ნათია უჩავა**	მასწავლებელი
31	**როზი დევნოზაშვილი**	მშობელთა ასოციაცია
32	**გიორგი მაჩაბელი**	EPPM
33	**არჩილ სუმბაძე**	სკოლის ადმინისტრატორთა ასოციაციის დირექტორი
34	**ნათია მჟავანაძე**	ექსპერტი
35	**ელიზბარ ელიზბარაშვილი**	NTP ჟიური / ექსპერტი / ქიმიკოსთა ასოციაცია
36	**ინგა პაიჭაძე**	სიქა
37	**ცირა თავშავაძე**	სიქა
38	**ნათია ანდღულაძე**	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
39	**სალომე გორგოძე**	პუბლიკა
40	**ნინო გაგელიძე**	ზოგადი განათლების სპეციალისტი